ბრძანება:**ბ34. 34240612**

თარიღი:**01/03/2024**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე და 77-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N4-ის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს:
ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით სამუშაო ჯგუფი და მისი შემადგენლობა ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად;
ბ) 2024-2025 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2-ის შესაბამისად.
გ) სტრუქტურული ერთეულების/საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა N3 - N6 დანართების შესაბამისად.

2. დაევალოთ მცხეთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/საბიუჯეტო ორგანიზაციებს, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენისთვის მოამზადონ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარმოადგინონ: საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2023 წლის შეფასება და ინფორმაცია 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ N7 და N8 დანართების შესაბამისად, ასევე, ინფორმაცია 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ (დანართები N9 და N10) 2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტით მათთვის განსაზღვრული ასიგნებების ზღვრული მოცულობის ფარგლებში.

3. დაევალოთ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, 2025-2028 წლების ბიუჯეტების შემოსულობებისა და გადასახდელების ოპტიმალური ვარიანტის შედგენის მიზნით მოამზადონ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარმოადგინონ ინფორმაცია:
ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის საპროგნოზო მაჩვენებლის გასაანგარიშებლად;
ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებიდან და სხვადასხვა სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან მისაღები ჯარიმების, საურავების საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.
გ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად;
დ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად;
ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული აქტივების (ქონება, მიწა) გაყიდვიდან და იჯარიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

4. დაევალოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:
ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N2) შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
გ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

5. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის N ბ34. 34230606 ბრძანება.

7. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი